განმცხადებელი : სოციალურ მუშაკთა გაერთიანება

თარიღი : 23-09-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 4

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ნანუკა ჟორჟოლიანი

სადავო მასალა : გადაცემა "სხვა ნანუკა", ტელევიზია: მთავარი არხი, სიუჟეტი: სისტემისგან დაჩაგრული დედა, რომელიც შვილებს კარგავს, თარიღი: 21.09.2022 გადაცემის ლინკი იუთუბზე: https://www.youtube.com/watch?v=pGKy1mrrmTE&t=1201s&ab_channel=%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AE%E1%83%98%2FNanuka%27sChannel

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : ქარტიის 1-ლი პრინციპის თანახმად, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს, უნდა ჩანდეს მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. ზუსტ ინფორმაციად, შეთანხმების თანახმად, ჩაითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია. მოცემულ სიუჟეტში ჟურნალისტი ინფორმაციას იღებს მხოლოდ დედისგან, რომელიც ამბობს რა მიზეზით მოხდა ოჯახიდან ბავშვების განცალკევება - ის უთითებს მხოლოდ სიღარიბეს. ჟურნალისტი მტკიცებით ფორმაში ამბობს „ბავშვებთან განშორების მიზეზი იყო მხოლოდ და მხოლოდ სიდუხჭირე და გაჭირვება“ ინფორმაციის გადასამოწმებლად ჟურნალისტი (სრულიად უცხო პირი) უკავშირდება ტელეფონით სოციალურ მუშაკს, უსახელებს მშობლის სახელს და გვარს და სთხოვს განცალკევების მიზეზების განმარტოს. ცხადია, სოციალურ მუშაკს არ აქვს უფლება გასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია სხვა პირზე და ის ვერ ისაუბრებდა განცალკევების რეალურ მიზეზებზე. ჟურნალისტს არ მიუმართავს ლეგიტიმური ორგანოსთვის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სააგენტოსთვის ინფორმაციის გადასამოწმებლად. 18:37 ზე ჟურნალისტი მტკიცებით ფორმაში ამბობს „რომ კანონი იქცა ბიზნესის წყაროდ.. ჩაწყობა რიგში. ჩვენ ხო პატარა ქვეყანა ვართ და ვრცელდება ეს ამბავი" ჟურნალისტი უთითებს სოციალური მუშაკების მიერ სავარაუდო გარიგების ფაქტებზე, რომელთა წყაროდ ასახელებს რომ „პატარა ქვეყანა ვართ და ვრცელდება ამბავი“. რაც ცხადია ვერ ჩაითვლება ინფორმაციის ლეგიტიმურ წყაროდ. სიუჟეტის 12 წუთსა და 10 წამზე ჟურნალისტი უკავშირდება პირველ სოციალურ მუშაკს, რომელსაც პირდაპირ უსვამს შეკითხვას და არ აფრთხილებს საუბრის ჩაწერის თაობაზე. სიუჟეტის 19 წუთსა და 36 წამზე ჟურნალისტი კიდევ ერთ სოციალურ მუშაკს უკავშირდება, უსახელებს ბენეფიციარის სახელსა და გვარს, უსვამს შეკითხვებს შემთხვევასთან დაკავშირებით, თუმცა, არც მას აფრთხილებს ჩანაწერის შესახებ. სიუჟეტის 21 წუთსა და 35 წამზე რესპონდენტი რეკავს მინდობით აღმზრდელთან და არც ის არის ინფორმირებული, რომ ჩანაწერი კეთდება. შესაბამისად ვთვლით, რომ დარღვეულია ქარტიის მე-4 პრინციპი „ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.“ ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო მედიისთვის თანახმად, ფარულ ჩანაწერად მიიჩნევა სატელეფონო ჩანაწერის გაკეთება ეთერში გაშვების მიზნით რესპონდენტის თანხმობის გარეშე.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები